

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 43 ოქტომბერი 18 1898 წ. № 43

შინაარსი: თეატრი ნ. ჟორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბავი.—„კვალის“ კორესპონდენციები.—გედის სიმღერა ი. ევდოშვილისა—კვირიდან კვირამდე.—საზღვარ-გარეთ.—ბაქო არიძისა.—კრიტიკული შენიშვნები (დასასრული) ივ. გომართელისა.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

თამარ დედოფლის დიდი სურათი (ფერადი წამლებით) დღეის იქით გაიყიდება „კვალის“ რედაქციაში 1 მ. 50 კ. (გასაგზავნი ფოსტის ხარჯი 30 კ.)

თ ე ა ტ რ ი.

II

როგორც პირველ წერილში ვთქვით, თანამედროვე ხელოვნება აღმოცენებული და აღზრდილია თანამედროვე ნიადაგზე. ის იკვებება იმ შინაარსით და ლტოლვილებით, რასაც დღევანდელი ცხოვრება აძლევს. ის იმდენათ განირჩევა გასული დროის ხელოვნებისაგან, რამდენათ აწმყო განირჩევა წარსულისაგან და ეს განსხვავება ძალიან დიდია. აწმყო იმით არის შესანიშნავი, რომ მისი არსებობის დედა-ძარღვი ფული შეიქნა; დიდი და პატარა, უფროსი და უნცროსი, ნასწავლი და უსწავლი—ყველა ფულს ოცნებობს და ფულისთვის შრომობს. ეს საშინელი მატერიალიზმი გაბატონდა ყველა წრეში და ყველა დარგში. მან ხელი ჩაჰკიდა ადამიანის ყოველნაირ მოქმედებას, მის ყოველნაირ მოთხოვნილებას და თავისი ბეჭედით დადაღა. მას ყველაფერი ექცევა, მის საბძანებელს ყველაფერი აცდება, მისი კლანჭებისაგან ყველაფერი თავისუფლდება. ის დაეპატრონა კაცის სულსა და გულს, სვინიდისი და გრძნობაც კი ფულის სასწორზე გავიდა. ფული გაქვს—ყველაფერი გაქვს, შენ გეტრფის ასი, შენ გარეშემო ტრიალებს ათასი; ფული არა გაქვს—არაფერი არა გაქვს, სიახლოვესაც არავინ მოგეკარება, გვერდზედაც არავინ შემოგხედავს, თუნდაც უწმინდესი გრძნობა და უსპეტაკესი ზნეობა გქონდეს... აი, ამ საერთო მოძრაობამ თან გაიყოლია ხელოვნებაც. ამასაც ისე ყიდულობენ და ჰყიდიან, როგორც უბრალო ნივთს. თეატრში, კონცერტში, სამხატვროში, ქანდაკების სახელოსნოში—სულ ფული და ფულიო, გაიძახიან. თქვენ შეგიძლიათ იყიდოთ ორი მანეთის მუსიკა, სამი მანეთის დრამა, ხუთი მანეთის მხატვრობა და ასე ბოლომდის. არ მისცემთ ფულს და მწერალი არ დასწერს პიესას, არტისტი არ ითამაშებს, თეატრს არავინ ააგებს. ხელოვნება ცხოვრების წყაროთ გადაიქცა. მას აწარმოებენ ისე, როგორც სხვა რაიმე ხელობას, და ამით თავს იჩენენ. აი, რას წერს შესანიშნავი კომპოზიტორი რიშარდ ვაგნერი: „რა არის დღეს ხელოვნება? ის იყიდება, მისი არსებითი ძალა ინდუსტრიაა, მისი მორალური მიზანი ფულის მოგება, მისი ესტეტიური დანიშნულება მოწყენილი ხალხის გართობააო“. მეორე ალაგას წერს: „მხოლოთ ამ ხელოვნების ფაბრიკაციას ფულის მო-

კ. მარქსის ს.ს. საქ. სსრ
სახელმწიფო რ. საჯარო ბიბლიო-

გებისათვის შეეძლო ჩემი ᲒᲐᲜᲨᲝᲠᲔᲑᲐ ყოველგვარ ხელოვნებისაგანო". და ასე აწარმოებენ ხელოვნებას და მით ცხოვრების რთულ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ. ასრულდა შილერის სიტყვები: Ernst ist das Leben, leichter ist die Kunst—ცხოვრება ძნელია, ხელოვნება კი უფრო ადვილი. ამ ნაირათ, კაპიტალმა დაიმონა ხელოვნებაც და თავის ჭკუაზე ატარებს.

ახლა ვიკითხოთ: რისთვის ეტანებიან ხელოვნებას, რას თხოვენ მას?

რადგანაც დღეს ყველა ფულის შეძენას ცდილობს, ცხადია აქ დიდი ბრძოლა და მეტოქეობა უნდა იყოს. ერთი ებრძვის ყველას და ყველა ერთს. თვითოეული დღე-მუდამ იმის ფიქრშია, რომ სადმე უცებ არ წაიბორძიკოს და თავ-დაყირა არ გადატრიალდეს. ამიტომ ის მუდამ მოუსვენარი, მუდამ ნერვებ აშლილი და აბოგოქრებულია. ის ხან ცხოვრების ერთ მხარეზე ვარდება და ხან მეორეზე, ხან თავ-დალმართში მირბის და ხან თავ-ალმართში, ერთი სიტყვით ის შეუჩერებლივ მოძრაობს, მოქმედობს, ღელავს, და ეს ასე ყოველ დღე, ყოველ კვირა, ყოველ თვე და წელს. ეს საშინლათ ღალავს ადამიანს და ქანცავს მთელ საზოგადოებას. და აი, მისი შესვენება, დასუსტებული ნერვების დადუმება, ახალი ძალ-ღონის მოკრეფის აუცილებელ მოთხოვნილებათ გახდა. ამის საუკეთესო იარაღი ხელოვნებაა. თეატრში კაცი იეიწყებს დღიურ ჭირ-ვარამს და მით დროებით მაინც იმსუბუქებს მწუხარებას. აქ თავს იყრის დაღლილი ხალხი და მოსვენებას ეძებს. ამიტომ მუსიკა, დრამა, კომედია ხალხის მიუცილებელ საჭიროებათ შეიქმნა. მოაშორეთ მუსიკა ევროპიელ საქმის კაცს და ის ერთ წელში გაგიჟდება. ცხადია, ხელოვნება საჭიროა მოსასვენებლათ, დროს სატარებლათ, ხოლო მოსვენება საჭიროა ძალ ღონის გასაახლებლათ და მით საარსებო ბრძოლის უკეთ წასაყვანათ. მეორე მხრით, არის ისეთი ხალხიც, რომელიც დღიურ ვარამზე არ ფიქრობს, იმას უკვე შეძენილი აქვს იმდენი, რომ ჩინებულათ იცხოვროს. მას ბრძოლა არსებობისთვის არ აწუხებს, მას საქმიანობა არ ადარდებს, სამაგიეროთ აწუხებს უსაქმობა, აწუხებს მოწყენილობა. და აი, ესენი „დროს მოკვლას" საჭიროებენ. ამიტომ ხელოვნებისაგან მოწყენილთა გართობას თხოულობენ. ასე თუ ისე ორიეე რიგის ხალხისათვის თეატრი დროს გასატარებელი ადგილია, იმ გარჩევით რომ პირველი ამით თავის საქმეს იადვილებს, ხოლო მეორე თავის უსაქმობას. აი, რის იარაღათ და მანქანათ გადაიქცა დღეს ხელოვნება! ის შექმნა ბურჟუაზიამ და თვითონვე სარგებლობს. ის იყო გაბატონებული კლასის საკუთრება მთელ ახალ ისტორიაში, საშუალო საუკუნოებიდან დაწყებული დღეანდლამდე. მხოლოთ ძველ ქვეყანაში იყო ხელოვნება—სახალხო, მხოლოთ საბერძნეთია სამშობლო ხალხი—არტისტისა და ეს რატომ? იმიტომ რომ ბერძნები თავისუფალი იყვენ ფიზიკურ შრომისაგან. მაშასადამე ხელოვნება მაშინ შეიძლება სახალხო გახდეს, ხალხი—არტისტი მაშინ შეიძლება დაიბადოს, როცა ხალხი განთავისუფლდება მუდმივ შრომისაგან და მოიპოებს მეტ თავისუფალ დროს. იმ პირისთვის, რომელიც 10 – 15 საათს მუშაობს დღეში ორიოდე გროშისათვის, ხელოვნება, რასაკვირველია, არ არსებობს. და აი, როცა ეს მისი პირობები შეიცვლება, როცა ნივთიერი ყოფა-მდგომარეობა უფრო სამართლიანათ მოეწყობა, როცა თანამედროვე მანქანების მუშაობა მთელი ხალხის, მთელი ერის საკეთილ-დღეოთ წარიმართება მაშინ ფიზიკური შრომაც ნაკლები იქნება საჭირო და ხელოვნებასაც მეტი დრო და მოცალება შეეწირება. აშკარაა, ხელოვნების განთავისუფლება მოხდება ხალხის განთავისუფლებასთან ერთათ. როცა აღარ იქნებიან კლასები, აღარ იქნება კლასიური ხელოვნებაც. აი, აქეთკენ მიილტვის დღეს ევროპის ძირითადი მიმდინარეობა. ამისთვის იბრძვის დღეს ევროპის მოწინავე პირები და პარტიები.

მეტყვიან: რატომ ესენი არ ქმნიან ახალ ხელოვნებას და მას ბრძოლის იარაღათ არ იყენებენო? იმიტომ, რომ ისინი ერთიანათ ბრძოლით არიან გატაცებულნი და თავისუფალი დრო არ რჩებათ. მათ ხელთ აქვთ სხვა უფრო მკაცრი იარაღები, როგორც მაგ. პრესა, მიტინგი და სხ. და თუ ხან-და-ხან თეატრსაც მიმართავენ, აქაც ბურჟუაზიის ნაწარმოებით სარგებლობენ, როგორც მაგ. იბსენის „ნორა", ჰაუპტმანის „მქსოველები" და სხ. უმრავლეს შემთხვევაში კი ისინიც, პოლიტიკური ბრძოლით დაქანცულნი, თეატრში მოსასვენებლათ დადიან. მეორეთ, ხელოვნების განახლება ე. ი. მისი ფულის ყმობისაგან განთავისუფლება ყოვლად შეუძლებელია კაპიტალისტურ ხანაში. სანამ ფული იბატონებს საზოგადოთ—იბატონებს ის ხელოვნებაზედაც. და როცა ეს ბატონ-ყმობა გაუქმდება—ძველი ბერძნების ხელოვნების იდეალიც გაცოცხლდება და თეატრის კარებსაც წაეწერება: განვითარებული სხეული, გამშვენიერებული ადამიანი, განსპეტაკებული გრძნობა და ამაღლებული გონება!

აი, ასეთია ხელოვნების გზა და კვალი მოწინავე ერებში. ასეთია თეატრის თან-და-თანი განვითარება. ამ საერთო მოძრაობაში უეჭველია ჩვენც გვიკავია რაიმე ალაგი, ჩვენც გვაქვს ერთი კუნჭული. რა ალაგია ეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ იმით ვემსგავსებით ევროპის ერთ, რომ საშუალო საუკუნოებში ქრისტიანული ხანა ხელოვნებაში ჩვენც გვქონდა. ეს იხატებოდა ყველაზე უფრო საეკლესიო მხატვრობაში, თეატრი კი არ გვქონებია. ხოლო იმათგან იმით განვსხვავდებით, რომ მთელი მერმინდელი განვითარება, ხანა აღორძინების და „კლასიკური“, ჩვენი ისტორიიდან ამოშლილია. ფეოდალურ წყობილებამ და მის თანამგზავრ ბიზანტიურ ხელოვნებამ ჩვენში ამ საუკუნის დამდეგამდე მოაღწია, ამ საუკუნეში დაეცა, როგორც პირველი, ისე მეორე. მარა იმის მაგიერ, რომ ჩვენც ის საფეხურები გვეკეთებია, რაც ევროპამ გააკეთა, პირ-და-პირ უკანასკნელ საფეხურს წავეტანეთ ხელი და ზედ ავცოცდით. აქაც ნახტომი გავაკეთეთ, როგორც მრავალ სხვა საგანში. ხელათ დავიარსეთ თეატრი და წარმოდგენებიც გავმართეთ. მარა ეს არ ყოფილა ჩვენი ცხოვრების დუღილის ნაყოფი, ჩვენი ჩვეულებრივი განვითარების შედეგი. ამისათვის ეს ნაძალადევი და უფერული გამოვიდა, და თუ თეატრს მაინც არ ვეშვებოდით, ეს იმიტომ რომ ასეა სხვაგანა და ქველ-მოქმედების წყალობით ძალათ ვიქერდით. თანამედროვე თეატრი—თანამედროვე ხალხს თხოულობს, ხოლო ეს ხალხი ჩვენში ახლა იდგამს ფეხს და იზრდება. მაშასადამე ჩვენი თეატრის საქმეც ამ ზრდასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული. რამდენათ ჩვენში ვითარდებიან ახალი კლასები, იფურჩქნება ახალი ცხოვრება ლ ირღვევა ძველი, იმდენათ თეატრს, და საზოგადოთ ხელოვნებას, ეძლევა შესაფერი ნიადაგი, უფართოვდება ასპარეზი ლ უძლიერდება მნიშვნელობა. ჩვენი თან-და-თანი გაევროპიელება ნივთიერათ, არის იმავე დროს გაევროპიელება ხელოვნურათ. მარა, მაშინ, როდესაც ტეხნიკის უკანასკნელი აღმოჩენათა გადმონერგვა წინ-წამწევი და ნივთიერათ ამაღორძინებელია, ხელოვნების ყველა უკანასკნელი ნაწარმოების შეთვისება სრულიადაც არ მოასწავებს არტისტიულ აღორძინებას. ეს იმიტომ რომ ხელოვნება დღეს დაეცა, ის ირღვევა ლ ამ დარღვეულის გადმოტანა ვერაფერი ოავდებია წარმატებისა. მაშასადამე ცოტა უკან უნდა დავიწიოთ ევროპის ხელოვნებაში და იქ ჩვენი ცხოვრების შესაფერი ნაწარმოები გამოვნახოთ. ეს უნდა აღბეჭდავდეს ორი ხანის ერთმანეთთან შეტაკებას,—ხანა ძველი, წარმავალი და ხანა ახალი, მომავალი. ყველა ის პიესები, რომელნიც აწმყოს ეხმარებიან წარსულისაგან განთავისუფლებაში —არიან ჩვენი თანამედროვე პიესები. და რამდენათ ჩვენი თეატრი ამ გზაზე შედგება, ამ ნაირ პიესებს გაგვაცნობს ლ ამ ახალ ურთიერთობას დაგვანახვებს - იმდენათ ის ჩვენი ცხოვრების წინ-წამწევი და განმავითარებელი შეიქნება....

ნ. ჟორდანია.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ამ შემოდგომაზე სახელმწიფო საბჭოში წინადადება შეაქვთ ბათომის და ყარსის ოლქის ყველა ქალაქებს, რომ გარეშე მდებარე მიწები შერიცხულ იქმნას სახელმწიფო მიწებათ. იმ მიწებს რომლებიც, ამ ოლქების რუსეთთან შემოერთების მერე კერძო პირებმა მიითვისეს, ხაზინა დაეპატრონება, ხოლო ამ მითვისებული მიწების მყიდველნი ჩაირიცხებიან როგორც ხაზინის მოიჯარადრენი. („სავაჭრო-სამრეწველო გაზ.“).

—

კავკასიის პირველ მებაღეთა კრებამ, მოისმინა რა ბ. იოსებ ქუთათელაძის მოხსენება შესახებ მეაბრეშუმეთა ამხანაგობებისა, დაადგინა: შემოღებულ იქმნას მხოლოთ მწარმოებელთა ამხანაგობები ნორმალური წესდებით და მათ სახელმწიფო ბანკებიდან მიეცეს სესხი პარკების გირაოს ქვეშ.

—

ჩაქვის საუფლისწულო მამულის გამგემ ბ. სიმონსონმა იმავე კრებას წარუდგინა ვრცელი მოხსენება ჩაის, ჩინური ჭინჭრის (რაში) და სხვა ძვირფასი მცენარეების გავრცელების შესახებ. როგორც მოხსენებიდან ჩანს ქუთაისის გუბერნიაში, განსაკუთრებით გურიაში და ბათომის ოლქში, ჩინებულათ ხარობს ჩინური ჭინჭარი. როგორც ვიცით, ეს მცენარე ბევრს აქვს გაშენებული, მარა ბაზარი ვერ მოუპოვებიათ. ახლა სიმონსონმა განაცხადა, რომ ფუთ ასეთ ჭინჭარს პეტერბურგის ფულის მჭრელი ხაზ ნა ოთხმანეთ ნახევრათ ღებულობსო.

—

ამ რამდენისამე თვის წინეთ საქართველოს ეგზარხოსის ფლაბიანეს მიერ დაარსდა კომისია ეპისკოპოზი ლეონიდის თავმჯდომარეობით. კომისიის საგანი იყო ქართული ენის სწავლების გაუმჯობესობა საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში. ამისთვის ახლა კომისია თხოულობს ამ სასწავლებლებში 6 ქართული გაკვეთილის მაგიერ 12 იქმნას კვირაშიო.

—

22 ამ თვეს ახლანდელი კრება მებაღეთა აპირებს გამგზავრებას ქუთაისის გუბერნიისაკენ; გზაში გაივლიან საქარის სანერგეში, ჩავლენ ქუთაისში, სადაც წაიკითხვენ სხვა-და-სხვა მოხსენებებს და შემდეგ გაემგზავრებიან სოხუმში იქაურ მებაღეობის დასათვალიერებლათ.

—

პირველ იანვრისთვის მოხდება ყველა ფაბრიკების და ზავოდების შენობათა ხელ-ახლა დაფასება.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

თფილისის საბჭომ დაადგინა: გაიხსნას აელაბარში პროგიმნაზია და მიეცეს 6 ათასი მანეთი წლიური დახმარება.

—

ზოგიერთ სადგურებზე, როგორც მაგ. ბათომის, ქუთაისის, თფილისის და სხ. გამართეს განსაკუთრებითი ოთახი, სადაც შეეძლება მგზავრს ბარგის მიბარება.

—

პირველი იანვრიდან 1 სექტემბრამდე კავკასიის რკინის გზაზე საზოგადო ტარიფით გადუყვანიათ 2,986,669 კაცი, 98,313,663 ფუთი საქონელი, რომლის შემოსავალი უდრის 12,695,760 მ.

—

სამიწათ-მოქმედო სამინისტროს აზრათ აქვს ტუაფსეს მახლობელათ მდებარე სახელმწიფო მიწები დაურიგოს მსურველთ ბაღებისა და ვენახების გასაშენებლათ.

—

ფინანსთა სამინისტროს უკანასკნელი გადაწყვეტილებით მცირე წლოვანი ბავშები არ უნდა მუშაობდენ სამრეწველო დაწესებულებებში მანქანებთან უფროსების უხელმძღვანელოთ.

—

როგორც გაზეთებიდან ჩანს ახლო მომავალში შეუდგებიან ახალი კანონების შემუშავებას ფაბრიკების და ზავოდების ქალაქებში და ქალაქების მახლობლათ გახსნის შესახებ.

—

ბაქოდან გვწერენ, რომ იქაც დაუწყიათ „სახალხო კითხვების“ გამართვა. 4 ოქტ. მეორეთ წაიკითხეს ლექცია ქალაქის საბჭოს ზალაში, სადაც უბრალო ხალხიდან ერთათ ერთი მუშა დაესწრო.

—

კოლეჯსკი სეკრეტარი თ-დი კიტა აბაშიძე დანიშნულ იქმნა რაჭის მაზრის მომრიგებელ შუამავლის თანამდებობის აღმასრულებლათ.

„კვალის“ კორესპონდენციები.

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲜᲐᲙᲘ. ეს სოფელი ერთ დროს ლაღი და ამაყი, დღეს საცოდავათ მობუზულა და შურის თვალით თავის მოსისხლე მტერს, ახალ-სენაკს გაჰყურებს. დიახაც რო საამაყო ჰქონდა ძველ-სენაკს: ამ თხუთმეტი თუ ოცდაოდე წლის წინათ აქ იყო ყველა ის დაწესებულება, რაც დღეს ახალ-სენაკს აშენებს — სამაზრო მმართველობა, მომრიგებელი სამსჯავრო და სხვა.,. ეს იყო ახლო-მახლო სოფლების საავჭრო ადგილი; ეს იყო ცენტრი ქონებრივი და გონებრივი მოძრაობისა. ერთი სიტყვით ასე თქვ ისე, ძველი სენაკი თვალ-საჩინო როლს თამაშობდა, მთელი სენაკ-ს მაზრ-ს მეკრელთა ეკონომიურ და გონებრივ ცხოვრებაში. მაგრამ დახე დროთა ულმობელობას! რაღაც მანქანებით უცებ მაღაზიები და დუქნები ნახევარზე მეტი მიიკეტა, დაწესებულებები ახალ-სენაკში გადავიდა. გამოყრუდა ძველი-სენაკი. დღეს ის ღირსება ჩამოხდილ თავადს წააგავს. რა იქნა?! რამ მოახდინა ეს სასწაული?! სულ ცოტა რამემ, რკინის გზის ლიანდაგმა. ძველ-სენაკის უკან მსვლელობის ისტორია ახალ-სენაკში რკინის გზის გაელის შემდეგ იწყება. ესეთია ტენდენცია კაპიტალისა. ერთათ ერთ ნუგეშს ძველი-სენაკისას დღეს სათავადაზნაურო სკოლა შეადგენს, რომელიც ჯერ-ჯეროობით არ ივიწყებს თავის მშობლის პურ მარილს. ეს სკოლა ქუთაისის ბანკის სკოლის განყოფილებაა, ოთხი წლის კურსით. აქ ოთხი მასწავლებელია, ერთი ამღზრდელი და ინსპექტორი. ბავშების რიცხვი.... მაგრამ ამ სკოლაზე შემდეგ გიამბობთ.

მიწა აქ ბევრია და ნოყიერი; სწორეთ ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ აქაური ყანები (აქ სიმინდის თესვას მისდევენ) ძალიან ცუდათ არის შემუშავებული; აუღია გლეხს თოხი, სიმინდის ძირი შემოუთოხნავს და ირგვლივ კი ეებერთელა ბალახი დაუგდია. — „სულ ერთია – ამბობს გლეხი. — მიწა კარგია, ჩემ სარჩოს მაინც მომცემსო“. ან იქნება მიზეზი ის იყოს, რომ რადგან აქაურები ძალიან ბევრი გადიან ახლო-მახლო ქალაქებში სამუშაოთ, არ უნდათ ბევრი დრო დაჰკარგონ სიმინდზე, რომლის ფასი დაცემულია დღეს ჩვენში. თუმც ეს ასეა, მაგრამ არა მგონია ქალაქში სამუშაოთ გასვლითაც ბევრ სარგებლობას ხედავდეს ჩვენი მუშა, რადგან, როგორც ეიცით, საშინელ კონკურენციას უწევენ მუშები ერთმანეთს. „მე ბევრი ვიცი იმისთანები — მითხრა ერთმა აქაურმა ნაცნობმა — „რომლებიც ორი-სამი წელიწადია, რაც წასულნი არიან ფულის საშოვნელათ და დღესაც არ დაბრუნებულან სირცხვილით, რადგან ვერა უშოვიათ რა“.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მთელ სოფელში ორს არა აქვს უბრალო ბოსტანიც; ხილის და ყურძნის ჭაჭანებაც კი არსად არის. წელს აქეთ სიმინდის მოსავალი ძალიან ცუდია, რადგან, ერთი რომ გვიან არის ნათესი, და მეორეც ამ ხშირმა წვიმებმა სულ ერთიანათ ამოალპო.

წელიწადში სამჯერ თუ ოთხჯერ აქ იმართება ბაზრობა, რასაც აუარებელი ხალხი ესწრება სხვადა-სხვა კუთხეებიდან. თითონ სენაკელებს ბაზრობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან დიდი ეერაფერი სარგებლობა აქვთ. პირ-იქით ისეც ეკონომიურათ დაქვეითებული უფრო ღატაკდებიან, რადგან ბაზრობაზე შორიდან მოსული მეგრელი ორ-ორ კვირაობით ჩაუჯდება სახლში თავის აქაურ ნათესავს თუ მოკეთეს და აღარ შორდება. არა მგონია სხვა ვინმე ისე მისდეედეს ნათესაობას და სტუმრიანობას, როგორც ეს მეგრელებმა იციან. გადამთიელი თათარი რომ იყო, უსათუოთ ნათესაობის შტოს გამოგიჩხრეკს; მეორმოცე მუხლზე რომ მიხვიდე, მაინც ახლო ნათესავი ხარ. ამ მხრით, როგორც ბევრს სხვაში, აქ სრული პატრიარქალური ატმოსფერა სუფევს. ამ გვარათ სენაკელებს ხარჯის გარდა ბაზრობიდან სეირილა რჩებათ. თუ ვინმე იგებს ამ ბაზრობიდან, ისევ აქაური აფთიაქი: გააქვთ და გააქვთ ქალებს თეზაფი.

არ შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ ვისიც ჯერ არს შემდეგ გარემოებას: მოვა თუ არა ერთი ღონიერი წვიმა, (ამგვარი წვიმა აქეთ ძალიან ხშირია) მთელი ძველი-სენაკი წყალში ცურავს. ძვირია იმისთანა სახლი, რომ შიგ წყალი ნახევარ ადამიანზე არ დაგუბდეს; გზები და ეზოები ხომ მდინარეს წარმოადგენენ. მეზობელი მეზობელთან ველარ მიდის. როცა წვიმა გადიღებს, აქა-იქ დაგუბებული წყალი დარჩება, და ხელს უწყობს, უმასოთავ ციებიან ადგილს, მიაზმების გავრცელებას. ეს წყალი მთიდან მოვარდება ხოლმე, და საკმარია თურმე ერთი ღრმა არხი, რომ სოფელი გადარჩეს წალეკვას. ვინ იცის რამდენი ხანია ეს ასე ხდება და ამდენხანს არავის აზრათ არ მოსელია ამ ჭირის აცდენა. იქნება მოინდომეს კიდეც, ძაგრამ მოთავე არავინ გაუჩნდათ!

ასალ-სენაკელი.

სოფ. კარდანახი (კახეთი). სწორეთ რომ ღირს ახლა ამ ენკენისთვის ნახევრიდან ღვინობისთვის ნახევრამდის სოფლის ნახვა. ქართველს თავის სიზანტე დავიწყებია. ყველგან მოძრაობა, მუშაობა და ფაცა-ფუცია. ყველა სულდგმული ამოძრავებულა და მოქმედობს. გზა-და-გზა, ორღობების პირში, გულს ახალისებს დაბრაწული ეზები, გზაზე ყურძნის დატვირთული ურმები, ხალხის ყიჟინი და ხმაურობა. მოლხენით არის სარჩოს პატრონი. ზღვათ იქცა ამისი შრომა, მოსავალი იმდენი მოუვიდა, რომ ჭურები აღარ აქვს შიგ მოსავალი მოათავსოს, მაგრამ რა, რისთვის ან ვისთვის? რას არგებს ამას ამოდენი მოსავალი? ტანჯვისა და წვალების მეტი რა რჩება ამას ხელში?! ჯერ ერთი, მეოთხედი მზა-მზვარეულათ მოსული სარჩოსი ბატონს უნდა მისცეს თავის საკუთარ ვენახიდან. მერე, ბატონისავე ვენახიდან, რომელიც ამას სანახევროთ აქვს აღებული, ნახევარი მოსავალი ბატონ—პატრონს უნდა მიუწყოს; დანარჩენი ნახევარიც, აგერ კარზე მისულ ღაბაბ ჩამოსულ ჩარჩს უნდა მისცეს, რაღაც ძველ ნისია-ნასესხში, თუ დარჩა რამე იმისი მყიდველიც არავინ არა ჩანს, გარდა იმავე ან იმის მოძმე ჩარჩისა, რომელიც ჩალის ფასათ თხოულობს. ასე ამ რიგათ მოსავალს სხვა წაიღებს და გლეხი კი ისევ ცარიელი დარჩება და მეორე მოსავლამდის ისევ იმავ თავის დამღუპავ ჩარჩებს უნდა მიმართოს სასესხებლათ. გლეხს კარზე მიადგება მოვახშე და შესძახებს: როგორა ხარ, ხომ კარგი მოსავალი გაქვს? ამბობენ ძალიან კარგი გამოსავალი აქვსო?—მადლობა ღმერთს, აღავ, ღმერთმა კი მოგვცა, მაგრამ ათასი პატრონი ჰყავ ამ მოსავალს. აი, შენც ხომ იმიტომ მობრძანდი, რომ წაიღო. ეჰ, საწყალი კაცის გაჩენაში ღმერთი არ გარეულა. მთელი წელიწადი ვიწვალე, ოფლი ეღვარე და მზათ მოსული მოსავალი კი სხვას მიაქვს.—არა უშავრა ნათლიმამ, ღმერთს მოუცია, ახლა მეც მომიშორებ და მემრის თავისუფალი იქნები. ეს გესმის სოფლის თავში, ამასვე გაიგებ ბოლოში და მთელ სოფელში, მთელ დღეს საღამოს უფრო ელფერი ეცვლება სოფელს. ადრეეე ისმის აქა-იქ სიმღერა და ლხინი მაჭრით შეზარხოშებული, მთელი დღის მუშაობისაგან მოქანცული, გლეხისა. არც თავადები არიან ამ თვეში მოსვენებით. ისინი დადიან სარჩოს შემოსაკრეფათ, თუმცა ამ არეულ ჩარჩების სიმრავლეში თავადები აღარც კი ჩანან. მამაკაცები თუ მუშაობენ, არც დიასახლისნი გახლავან უქმათ. ისინი ჰკრეფენ ყურძენს გოდრებში, აგროვებენ ხილს და ამზადებენ ზამთრისთვის. სოფელში თვალი მოვკარ ჩემ ადრინდელ ნაცნობ ქალაქელს, რისთვის მოსულა აქ მეთქი ვიკითხე? ეგ მუდამ გაზაფხულობით და ამ დროს მოდის აქ ხოლმე ტკბილების საყიდლათ. მაგან კარგათ იცის, რომ ხალხს ფული უჭირს, ეგ ფულიანი კაცია, ფულებს არიგებს და ჩაფ ტკბილს 80—100 კაპ. ყიდულობს.—მერე ეგ ხომ შეგნებული ქართველი კაცია მეთქი, განა ეგეც ისე სარგებლობს გაჭირვებული კაცის გარემოებით, როგორც სომხები მეთქი? რასა ბრძანებ, ბატონო, ქართველი ვაჭარი სომეხზე უარესია, ეგ უფრო იაფათ ყიდულობს, ვიდრე სხვანიო, მომაძახეს.

აქ ეს ორი წელია ბიბლიოთეკა არსებობს, მომეტებული მკითხველნი, როგორც მოსალოდნელიც იყო, მანდილოსნები აღმოჩნდენ. სამკითხველოს გამგე კნ. აფხაზისამ გულმტკივნეულათ შემოგვჩივლა: კაცები ძალიან მცირეოდენნი კითხულობენ წიგნებსაო. ჩვენი სურვილი კი სამკითხველოს დაარსების დროს უფრო ის იყო, კაცები მიგვეჩვიეა კითხვისთვის და აგვე-

შურებინა დუქნებში უწმაწურ-ლაზღანდარობას და ლოთობასაო. მართლაც რომ სამწუხაროა, რომ მომეტებულ ნაწილათ ჩვენი ქუდოსანნი კვირა უქმე დღეს დუქანთან ატარებენ ან ტყუილ უბრალო მასლაათში, ან კიდევ ლოთობაში. დღეს ამ სამკითხველოს და პატივცემულ აფხაზისას უნდა დავუმადლოთ, რომ აქ ქალების სკოლა გახსნილა. ამ სასურველ ქალების სკოლის დაარსებას კი ერთი არა სასურველ გარემოება დაჰყოლია თან, რომელიც რაც მალე მოისპობა ისა სჯობია სკოლისთვისაც, სოფლისთვისაც და თვით იმ პირთათვისაც, რომელნიც საქმეში ჩარეულან. სკოლის დაარსებას, როგორც ჩვენში ყოველ კეთილ საქმეს თანა სდევს, შური დაუბადნია კარდანახის ღვდლებში. რატომ შენ გამართე სკოლა, სახელი შენ შეგხვდა და არა მე, უნდა გადაგემტეროვო. საცინარია, რომ სამწუხარო არ იყოს ეს გარემოება. მერე განა ძნელია საქმის გასწორება? ერთმა თუ გახსნა, მეორემ ასწავლოს და თავის მეცადინეობით მოიყიდოს ხალხის გული. ან განა მარტო სკოლის დაარსებაა საქმიანობა? ბევრია სოფელში საქმე თუ კი გამკეთებელი იქნება ვინმე. სოფლის წინ წასაწევათ განათლებისაკენ და დღევანდელ დაძაბუნებისაგან გამოსაყვანათ მარტო პირველ დაწყებითი სკოლა არა კმარა, როგორც არ კმარა მარტო მომხმარებელ დეპოს დაარსება, როგორც ზოგიერთ დეპოს მოტრფიალეთ ჰგონიათ, არამედ ამისთვის თვით-შეგნება ხალხისა, ცოდნა, განათლება დ განვითარებაა საჭირო. სანამ ხალხი თავის თავს არ იცნობს და არ გამოიცვლის თავის ცხოვრებას, აწინდელ დროის მოთხოვნილებისამებრ, მანამდის სხვის ხელის შემყურებელი იქნება და სხვისავე მუშა.

ქიზიყელი — იმერელი.

სოფ. მეწიეთი (გურია). თუ ყველა იღვიძებს, თუ ყველა განათლებისაკენ მიეშურება, თუ ყველა ცხოვრების გაუმჯობესობისთვის იბრძვის — ჩვენც, მეწიეთლებიც, არ ვართ გულ ხელდაკრეფილი, ჩვენც მივიწევთ წინ... ჩვენც გვინდა განათლება მივიღოთ, ჩვენც გვინდა ცხოვრება გავაადვილოთ, გზა გავიწმინდოთ. ჩვენც შევიგნეთ საით უნდა დავაკავოთ პირი, ვის მივმართოთ... შევიგნეთ და მივმართეთ კიდეც სკოლას, გზის კეთებას, შრომას და სხ... მეწიეთში ახლა სამრევლო სკოლა შენდება, მიუხედავათ იმისა, რომ ბასილეთის საზოგადოებაში, რომელსაც მეწიეთი ეკუთნის, ერთი სამინისტრო ორკლასიანი სკოლაა და რამდენიმე სამრევლოც. მეწიეთში გზები კეთდება, კარგი, საურმე გზები, მეწიეთელს გაჰყავს გზა შორეულ „წყალ-მაჭარას“ და „ნაქალაქევის“ ტყის კენწეროებში, იქ მუშაობს, აკეთებს საწნახლებს, ფიცრებს, გამოაქვს და ჰყიდის, ან თავისთვის იტოვებს... მეწიეთელი მიდის შორს, ზღვას გადალმა, კერჩში, ნოვოროსიისკში, სევასტოპოლში, იქ მუშაობს, შოულობს ფულს და უკან ბრუნდება. ბათომი და ფოთი ხომ მისი სახლია. თუ გინდა ნურაფერს იშოვნის იქ წასვლით, ის მაინც მოგებულია. სიარულით, მოგზაურობით ის აკვირდება ცხოვრებას, ხედავს ავს თუ კარგს, ცნობილობს მტერს და მოყვარეს, ავითარებს, ხსნის გონებას. უწინდელი ბნელი, გონება დახშული მეწიეთელი, ცოტაოდნათ გონება განვითარებული „ნასტავლი“ ბრუნდება. ბრუნდება და კიდებს ხელს იმ საქმეს, მიილტვის იმისაკენ რაც მის გამოცდილებამ, ცხოვრებასთან შეტაკებამ საჭიროთ დაანახა. ის უშვერს ხელს განათლებას, სიწმინდეს, ზრდილობას და უნდა ყველა ეს თავისკენ მიითრიოს, დაეპატრონოს. ის ებრძვის სიღარიბეს, შიმშილს, თავისთვის იკლებს და შვილს კი ასწავლის, გზას უხსნის. მეწიეთში ყველა ათი წლისამ წერა-კითხვა იცის, იცის ჩინებულათ. პატარა მოწაფეები დამღერიან „მახსოვს პირველათ“ და სხვა სიმღერებს. შედიხარ ვისიმე ეზოში და ხედავ პატარა, ფეხტიტველა ბავშს „დედა ენით“ ხელში. შედიხარ ეკკლესიაში და გესმის შვენიერი გურული გალობა, ეს გალობა მღ. ს—ნ კ—ძემ ასწავლა გლეხებს. ერთი სიტყვით სადაც უნდა გაიხედო, ვისაც უნდა შეხედო, ყველას სიცოცხლე და იმედი აწერია სახეზე. ყველა ჯანსაღი, ყველა მხიარული. ხედავ ყველა ამას და გიკვირს, გიკვირს, რადგანაც მეწიეთი თითქმის არაფრით არ დაუსაჩუქრებია ბუნებას. ერთი უნაყოფო, გადამწვარი გორაკი — აი რა არის მეწიეთი; იმის მიწას არ შეუძლია გამოჰკვებოს მეწიეთი. მაშ რა არის მიზეზი? რა არის და ეს ბუნებრივი სიღარიბე. ამ სიღარიბემ გახადა მეწიეთელი ერთგული, შრომის მოყვარე. ეს არის კიდეც მიზეზი, რომ მეწიეთელს ხელი გაუქანებია, გაწეულა. მან არ იცის რა არის ზარმაცობა, დაღალულობა, ის შრომობს და შრომობს, რომ „მტრის და მოყვარის სასაცილო არ შეიქნეს“. აი ეს არის მიზეზი რომ მეწიეთი შედარებით წინ მიდის, თვარა უკან არ რჩება...

მაგრამ არ იფიქრო მკითხველო, რომ ჩვენ უნაკლულო ვიყოთ. არა... ჯერ ბევრი გვაკლია მეწიეთლებს, ძალიან ბევრი. რომ ყველას არ შევეხო, საჭიროთ ვთვლი, ერთ გვარიან მოზრდილ ნაკლს მეწიეთისას, რომელიც გულს და სულს ღრღნის საზოგადოთ ქართველების და კერძოთ მეწიეთლების მატერიალურ და ეკონომიურ ზრდას, მე ვამბობ ქორწილის და ტირილის ხარჯზე. არაფერ მოთხოვნილებაზე იმდენი არ ეხარჯება ხალხს რამდენიც ამ ორ შემთხვევაზე. ამიტომ საჭიროთ ვთვლი, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო არის ეხლა ეს უვარგისი და გამალარიბებელი ჩვეულება მოისპოს. თითონ მეწიეთლებს რომ არ ჰქონდესთ შეგნებული ამისი უვარგისობა მე არაფერს ვიტყოდი, მაგრამ მეწიეთლებს შეგნებული აქვს ამის გამო თუ რა ზარალი აქვს და მხოლოთ საჭიროა მაგალითის მომცემი. რაც შეეხება სამრეველო სკოლას, თუმცა დიდათ სასიხარულოა სკოლის დაარსება, მაგრამ არც ის ვარგა, რომ იყოს და არც იყოს ე. ი. კარგი მასწავლებელი არ ჰყავდეს. იმედია მღ. ს—ნ კალ—ძე, რომელიც ამ საქმის მეთაური არის, ბოლომდე კარგათ წაიყვანს საქმეს... ჯერ სკოლაზე მეტი არაფერი გვეთქმის.

დაგვრჩენია ორიოდე სიტყვა ვთქვათ წყლის არხის შესახებ. თუმცა კარგი საქმეა უწყლო მეწიეთში წყალის გამოყვანა, მაგრამ ვაი თუ ეს საქმე ვერ შესრულდეს, რადგანაც ეს დიდ ხარჯს თხოულობს. ამისათვის საჭიროა ათას ორასი მანეთი და ეს ცოტა ფული არ არის. ვეჰვობ, რომ მეწიეთმა ამდენი ფული გამოიღოს, ხოლო კერძო შემოწირულებას არც ისე უხვათ იძლევიან ჩვენში. მაინც ვისურვებთ ამ საქმის დაგვირგვინებას.

ბიჯენტი მეწიეოელი.

გედის სიმღერა.

ᲐᲠᲐ ᲛᲡᲒᲔᲠᲬᲚᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲝᲗᲮᲝᲕ
შენ ისედაც იტანჯე ბევრი...
ᲘᲮᲝᲚᲝᲗ ᲡᲐᲜ-ᲓᲐ ᲡᲐᲜ ᲩᲐᲡᲥᲓᲔ
ᲛᲐᲒ ᲨᲐᲕ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ,
რომ დავინახო ჩემი გული,
ვით მთისა წვერი,
ნისლ მოსვეული ძირს გადაშლილ. მღელვარე ზღვაში.
ვიცი თვალს მოვკრავ იქ ობოლ გედს ცის კამარაზე
და ეურს დვუგდებ ცის სიმღერეს, სევდის ამბავსა,
ის ამბობს: „გედი გამწურალი ვარ დედაჩიწაზე,
ღრუბელს ამოვყევ, გავეკარი ცის კამარასა.
ვერ ვეზოვე სული შესთვისი მიწა-ცის შორის,
რომ კეთილისთვის ერთხელ მაინც გამეხდო გული,
მე თვით მტარვალი შებრალებით მაინც მიყვარდა,
თვით კი ვერ ვეზოვე თანაგრძნობა და სიყვარული;
ტალღათ ნატეორენ ქაფს ამოვყვდე სეტეკი ფრთები,
შეკვრთი სიმწარით, გავაკეთე ცაში კამარა,
თუმცა კვლავ თვალნი იზიდვიან დედამიწისკენ
და ასე ობლათ დავკანკალდებ ბედის ამარა!“
ნატნობი არის ეს სიმღერა, კვლავაც მსმენია,
რომ გულისკენ ჩაუვლია ფიქრს, ვითა ბედსა,
და იმის ხმაზე ბევრჯელ, ბევრჯელ ცრემლიწყენია,
თან ნადვლიანათ ვიგონებდი მწარე სიტუკვებსა.

—

და მიტომ გთხოვ, ჩამასვდე ტურფავ თვალებში,
რომ სევდის ზღვაში, ვით სარკეში, ვისილო კვლად,
ჩემი ფრთოსანი, ღრუბელთ შორის მისი თარეში,
და მოვიწყინო ტკბილათ, ტკბილათ... იმავე გვარად.

ი. ეკდოშვილი.

კვირიდან კვირამდე

ᲐᲥᲐᲪ ᲐᲠᲔᲚᲐᲪᲘᲐ — ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲡᲔᲘᲠᲝ ᲓᲦᲔ — ᲙᲝᲜᲩᲘᲜᲐ — ᲡᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲘᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ — ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲒᲚᲔᲮᲡ!

ᲐᲛ ᲥᲐᲛᲐᲗ თფილისელთა ერთათ ერთ სალაპარაკო საგანს „კონკა“ შეადგენს. აქამდის ეს ორ-ცხენა ეკიპაჟი იმით იპყრობდა ჩვენ ყურადღებას, რომ შიგ გაჭირვების დროს ეჯდებოდით და ავათ თუ კარგათ იოლათ მივდიოდით. მართალია, ხშირათ, ძალიან ხშირათ გაგვაბრაზებდა, ხან რელსიდან გადმოვარდებოდა და ჩვენც გადმოგვაგდება, ხან ცხენები ვერ აათრევდენ ალმართზე და ზურგით უნდა აგვეტანა, ხან ერთი ფეხით გაგვასწრებდა და მეორის მოსელამდის თმაში თეთრი გამოგვერეოდა, მარა, ბოლოს, როგორც იქნებოდა დანიშნულ ალაგას ცოცხალს მაინც მიგვიტანდა. და ახლა? ახლა უნდა მოგისამძიმრო ჩემო თფილელო, კონკა თურმე ალარ გვეყოლება, ის თურმე „სუდში“ გადადის და როდის მას ჩვენ მოგვისჯიან ან ჩვენ თავს მას მიუსჯიან ღმერთმა იცის. შეიძლება არ დაიჯეროთ, მარა რას იზამთ, ქალაქის თავი ასე გვაშინებს და თუ გინდა ნუ დაიჯერებ. მან გამგეობაში განაცხადა: „საჭიროა ცხენის რკინის გზა ისევ უსახელო. საზოგადოების ხელში დარჩეს კიდევ იმიტომ, რომ ქალაქმა თავიდან აიცილოს ათასი ჩივილი და სასამართლოში საქმის წარმოება, რომელიც ვინ იცის როდის გათავდებაო“. ამ მომავალ აპელაციამ და კასაციამ გამგეობა დააფრთხო და „კონკის“ მოციქულს შესძახა: დალახეროს ღმერთმა ეშმაკი, მიეუკდოთ ისევ ის ბელგიელებსო, მარა საბჭოში უმრავლესობა საჩივრების მოყვარული აღმოჩნდა და გადაწყვიტა ისევ, როგორც წელს მგონი 50 ჯერ გადაუწყვეტია.

მწყემსი.

* * *

მარა გადაწყვეტა, ქალალდზე დაწერა რა დიდ შრომას შეიცავს. საქმე იმაშია, რომ ის მოყვანილ იქმნას სისრულეში. და აი, სწორეთ ეს აკლია საბჭოს. გამგეობა საბჭოს წინაალმდეგია, „უსახელო საზოგადოება“ გამგეობის მომხრეა, მაშასადამე ხმოსნები თავისი ქალალდებით ერთათ რჩებიან, ხოლო რობი და ევანგულოვი ერთათ. პირველმა მეორის პირით გამგეობაში განაცხადა: ტყუილათ იწუხებთ თავს, 25 ოქტომბერს თქვენი ვაგონების ტარების



გრიბოედოვის საფლავი მთაწმინდაზე.

ნებას არ მოგცემთო. მიუხედავათ ამისა საბჭო თავის აზრს ადგია: უნდა გავატაროთო. მაშ ამ თვის ოცდა ხუთს ერთი სასეირო დღე გაგვითენდება. რობი და ვერმიშევი თავ-თავისი ვაგონებით ქუჩაზე გამოვლენ და შეიტაკებიან. როცა ყარამანი ბაყ-ბაყ მდევს დაეტაკა, ამბობენ, მთელი დედა-მიწა შეინძრაო. თფილელთა მდევებმა შეიძლება ამდენი ძლიერება ვერ გამოიჩინონ, ქვეყანა ვერ შეანძრიონ, მარა თფილისს მაინც კი მიაქან-მოაქანებენ და თუ ესეც ვერ შეძლეს, „კონკაში“ მჯდომ ხალხს მაინც კი მიანჟღრ-მოანჟღრევენ და ესეც გვარიანი ძლევა-მოსილობა გახლავს. ბოლოს ერთი-ორი წესიერების დამცველნი ამ ჩვენ ახალ-მოდის ყარამანს დ ბაყ-ბაყ დევს სასამართლოში გაისტუმრებენ, და მორჩა დ გათავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

სასამართლოში საქმის წარმოება ხომ კონჩინას თამაშია, ხან მე მოვიგებ და ხან შენ. ეს კონჩინაობა მგონია ჩვენ საზოგადო საქმეებშიაც შემოვეპარა. ოთხი წლის წინეთ ბათომში ქართველებმა მოიგეს არჩევნები, ახლა კი სომხები მოიგებენ, ისეა საქმე-გვწერენ. მარა რაფერ ისეა საქმე კაცმა არ იცის. ბათომის საარჩევნო აგიტაცია ჩუმათ და დაფარულათ წარმოებს. ვერავითარი გაზეთი, ვერავითარი გარეშე პირი მის ამბავს ვერ ტყობილობს. არავინ არაფერი იცის გარდა ერთისა: იქ სომხები და ქართველებია და სადაც ესენია იქ უთუოთ პარტ ობა უნდა იყოსო, სომეხი სომეხს ემხრობა, ქართველი ქართველს და პარტიაც გამორკვეულიაო. ასე გვაჯერებდენ დღემდის. მარა დღეს „ახალ მიმოხ." სულ სხვაში გვარწმუნებს. ვის ქვია სომეხ-ქართველობა, ეს ოცნების ნაყოფი ყოფილა, ყველა ერი და კლასი ისე არეულა ერთმანეთში, რომ თვით რენტგენის სხივებითაც ვერ გაარჩევთ სად ჰაისტანის გული სცემს და სად ქართლოსიანის. მარა ჩვენ კი ეს რაღაც არ გვწამს, არ გვწამს მით უფრო, რომ ძალიან ნაგვიანევათ მოწერილია და სიგვიანეს ხომ მაშინ მიმართვენ, როცა დას-დასობაში confusion-არევ-დარევა სურთ გამოიწვიონ, ხოლო ხელ-ახალი თავის მოყრის დრო აღარ არის. ეს ომის მეცნიერებაა...

*
* *

ერთი ასეთი არეულ-დარეულობა თფილისის სახალხო კითხვების კომისიაში სუფევს რუსული თეატრის სექცია უარს ამბობს წარმოდგენებს არ გავმართავთო, და მერე რატომ? იმიტომ რომ, როგორ გაბედეს და უკანასკნელ საზოგადო კრებაზე ჩვენი „კაცი" გაგვიშავესო. რას ქვია ეს „ჩვენი კაცობა"? რას და იმას, რომ ადგილობრივ მკვიდრთათვის კითხვები და წარმოდგენები რა საჭიროაო. კომისიაში ყოფილან ამის მოციქულნი, მარა მოკვეცათ სიცოცხლე იმათ შავ-შავი კენჭები სეტყვასავით მიაყარეს. გაშავებულნი იქ დაჩუმდენ, სამაგიეროთ ქუჩაში გამოსულან და გაჰყვირიან: რაკი მე გამაშავე საქმეს გაგიფუჭებო! აი, ახალ მოდის „სახალხო მოღვაწენი"! ხალხი მაშინ ყოფილა სატრფიალო, როცა მის კისერზე დაგსვამენ, ხოლო როცა მას გვერდში ამოგიყენებენ, მაშინ კი „ფუ", „ფუ"-ს ძახილით შორს მირბიხარ. აი, ასე უყვარს ხალხი ჩვენ ინტელიგენტებს!

*
* *

ამგვარი ინტელიგენტები ყველგან, ყველა სფერაში, მოიპოვება და რა გასაკვირველია რამდენიმე მებაღეთა კრებაშიაც ბოგინობდეს. მუშტაიდში ბაღოსნობის გამოფენაა გამართული, ხოლო გამომფენნი სხდომებს მართვენ და ერთმანეთს ლექციას უკითხავენ. ამ გამოფენაში, რასაკვირველია, ხალხი არ ჩანს, ჩანს მხოლოთ მისი ნამუშავარი, მსხალი, ვაშლი, პილპილი, ყურძენი და სხ. და რასაკვირველია კითხვა აღიძრა: რატომ სოფლის მეურნე მონაწილეობას არ ღებულობსო. ამაზე ბევრმა ასეთი აზრი გამოთქვა: აქაური სოფლის მეურნე გაუთლელი და მოუხეშავია, ის ეწინააღმდეგება ყოველსავე ახალ იარაღს და მეურნეობის გაუმჯობესებას და მათზე ვერავითარ იმედს ვერ დავამყარებთო! მაშ გამოდის რომ ეს იმედი ამ არა-მეურნეებზე უნდა დავამყაროთ, ისინი აღმოაცენენ თავიანთ კანცელარიებში პურს და ღვინოს! კარგი იმედია, ჩემმა დღემ, მარა როცა გამოფენილი ხილეულობა გაშინჯეს, აღმოჩნდა რომ ყველაზე უკეთესი ხილი, ყველაზე უფრო აბუჩათ აგდებულ გლეხ-კაცს გამოუფენია. ეს მართალი არ იქნება, აბა როგორ მოიმუშავებდა ამას უტვინო გლეხიო —ერთხმათ შეჰყვირეს ჯანაოზ მებაღეებმა. გამოჩნდა ერთი თომა ურწმუნო, რომელმაც მოახსენა: აი მისი ბაღი აქავეა ვერაზე, წავიდეთ და შევამოწმოთო. ითქვა ასრულდა. ერთ შვენიერ დღეს იმ საეჭვო ბაღში თავი მოიყარეს, გაიარ გამოიარეს, გაშინჯ-გამოშინჯეს, მერე სტოლს მოუჯდენ და წითელ ღვინოსთან უცებ ყველა მართლმორწმუნე „გლეხათ" გადაიქცენ: გლეხისთანა ჭკვიანი და წინ-წაწეული მეორე არ არისო —დაარწმუნეს ერთმანეთი და დაიშალენ.

საზღვარ-გარეთ

ინგლისი. გასულ წელს ინგლისის მთავრობამ ირლანდიას მიანიჭა ადგილობრივი თვით მართველობა. ე. ი. თვითოეული სოფელი, ქალაქი და პროვინცია თავისივე არჩეული საბჭოთი იმართება. ეს, რასაკვირველია, შორს არის ირლანდიის საკუთარი პარლამენტისაგან, რასაც ჰომ რული ეწოდება. აი, ამიტომ ირლანდიის ზოგი ნაციონალისტი ეწინააღმდეგებოდა ამ ახალი კანონის შემოღებას, ეს ჰომ-რულის კითხვას ჩრდილს მიაყენებსო და პარლამენტში ამტკიცებდენ ერთათ-ერთ ირლანდიის პოლიტიკურ თვით-მართველობას შეუძლია ქვეყანა წინ-წასწიოსო. ხოლო სხვები კი ამბობდენ —სულ არაობას ესეც ჯობსო. და აი, ამ ერთი კვირის წინეთ მოხდა ორივე ჯგუფის მიტინგი. უკანასკნელი აზრის წარმომადგენელნი, პარნელისტებათ წოდებულნი, შეიყარენ ქ. დუბლინში დეპუტატის როდმონდის თავმჯდომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობით, რომელმაც თქვა შემდეგი: ირლანდიის ადგილობრივი თვით-მართველობა, რასაკვირველია, ვერ აკმაყოფილებს ჩვენ ნაციონალურ მიზანს, მარა მან თვითოეული კუთხის ხალხი, პირველათ ჩვენ ისტორიაში, გახადა თავისუფალ ხალხათ. ეს არის ერთი დიდი ბიჯი ჰომ-რულისაკენ გადადგმული. ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ ამ კანონის ცხოვრებაში გატარებას და არა მის უარისყოფას, როგორც ჰომ-რულისტები გვირჩევენო.—მეორე მხრით, ქ. გლასგოვში შეიყარა ირლანდიის ნაციონარული ლიგა დეპუტატი დოლიანის თავმჯდომარეობით, მან თავის სიტყვა ასე გაათავა: ჩვენი ხსნა სრულ ნაციონალურ თავისუფლებაშია, ამისთვის ირლანდიის ყველა პარტია უნდა შეერთდეს და საერთო დროშა ააფრიალონო.

— ლონდონის ტრამვაის მოსამსახურეთა უკანასკნელ გაფიცვამ დაარწმუნა ლონდონის საბჭო, რომ სანამ ეს გზა კერძო კამპანიის ხელში იქნება —მოსამსახურეთა ცარცვა-გლეჯა არ მოისპობაო. ამიტომ, საბჭომ გადაწყვიტა გამოყიდულ იქმნას მთელი გზა რვა-ნახევარ მილიონ მანეთათო. გზას აწარმოებს თვითონ ქალაქი.

საფრანგეთი. საფრანგეთში დღეს დიდი პოლიტიკური კრიზისია. დრეიფუსის საქმის გადაშინჯვამ ისე ააღელვა მაღალი მხედრობა, რომ მხედართ მთავართ შეთქმულობაც მოუხდენიათ მთავრობა ძალათ დავცეთო. ამის გამო დღეს ყველა ცნობილი ენერალი პოლიციის მხედველობის ქვეშ არის. ამ გარემოებამ გამოაფხიზლა რესპუბლიკის მომხრენი და სხვა-და-სხვა საშუალება მიიღეს რესპუბლიკის დასაცავათ. საფრანგეთის სოციალისტთა პარტიას შეუდგენია განსაკუთრებითი კომიტეტი 38 კაცისაგან, რომლის მიზანი რესპუბლიკის დამაგრებაა. ახლანდელი მთავრობა, ბრისონის რადიკალური კაბინეტი, შეძლებდა რესპუბლიკის მტრებთან, კლერიკალ მონარქიელებთან, გამკლავებას, მარა აი, ტელეგრამა მოდის, რომ პარლამენტის უმრავლესობამ არ შეიწყნარა კაბინეტის პოლიტიკა და მთავრობა გადადგაო. რა უნდოდა ამით ეთქვა პარლამენტს ძნელი გასაგებია. ამ კრიტიკულ დროს რესპუბლიკის ერთგულ დარაჯ სამინისტროს გადაყენება —და ისიც რესპუბლიკანელთა მიერ—მხედრობის თავ-აშვებულობის ცნობაა და მეტი არაფერი. ამ გარემოებამ ძალიან ააღელვა პარიჟი, ქუჩებში და ბულვარებში დიდი ყრილობები და შეტაკებებია.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. გერმანიას ამ ჟამათ ხელმწიფე აღარ ჰყავს. ის გამოეთხოვა სამ'მობლოს და იერუსალიმში წავიდა სალოცავათ. ამ მოგზაურობას მოუნდება უეჭველია რამდენსამე თვეს. რა გვეშველება ამ ხნის განმავლობაში უმეფოთ—კაჰყვირიან კონსერვატორები. და ასე გაშინჯეთ კანონიერი მემკვიდრეც უცხოეთშია. მარა მიუხედავათ ამისა გერმანიაში ყველაფერი ისე მიმდინარეობს, როგორც წინეთ; მეფის არ ყოფნა ქვეყანას სრულებით არ ატყვია, გარდა იმისა რომ მისი მგზავრობა რამდენიმე მილიონი ფული ჯდება და ეს ბოლოს ხალხის ჯიბიდან უნდა აიღონ. ამბობენ რეიხსტაგში ამის შესახებ გაცხარებული აურ-ზაური იქნებაო. მეფის იერუსალიმში გამგზავრება არაფრათ იამა საფრანგეთს. გერმანიას და საფრანგეთ შორის დავა ატეხილი: ვინ უნდა მფარველობდეს უცხოეთში მყოფ კათოლიკებსო. პირველი ამბობს: ჩვენი ქვეშევრდომი ჩვენ საფარველ ქვეშ უნდა იყოსო. ხოლო მეორე უარს ჰყოფს ამას და აცხადებს: საფრანგეთი მუდამ მფარველი იყო ყველა კათოლიკეთა, მიუხედავათ მათი შთამომავლობისა, და დღესაც ასე უნდა იქმნასო. და მართლაც, 1742 წლის სათათრეთ-საფრანგეთის ხელ-შეკრულობაში ნათქვამია, რომ ოსმალეთის საბრძანებელში რომის სარწმუნოების მფარველი საფრანგეთიაო. და რადგანაც მაშინ საფრანგეთი ერთათ ერთი ლონიერი და შეძლებული სახელმწიფო იყო, ამიტომ ყველა მას მიმართვიდენ საშველათ. მარა, მერე სხვა სახელმწიფოებიც გაძლიერდენ, გერმანია, ავსტრია, იტალია მხარში ამოუდგენ საფრანგეთს. ახლა ამათაც შეუძლიათ თავისი თანამემამულეთა დაცვა აღმოსავლეთში. მარა საფრანგეთი მაინც თავის ისტორიულ უფლებას არ ეშვება, და აი, გერმანიის იმპერატორის აღმოსავლეთში გამგზავრება—საფრანგეთის ასეთ ლტოლვილების წინააღმდეგ არის მიმართულიო.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ. ჩინეთში დაარსდა სრული რეგენტობა. მეფეს აღარავითარი ძალა და უფლება არ აქვს. მას საიდუმლოთ მიუწერია ორი წერილი თავის მეგობარ, აწ გაქცეულ, რეფორმატორ კან-იუმეისთან. აი, რას წერს პირველ წერილში: „ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფო ძალიან საშიშარ მდგომარეობაშია. სანამდის დასავლეთის წყობილებას არ შევითვისებთ, მანამდის მისი ხსნა შეუძლებელიაო. სანამდის არ დავეითხოვთ კონსერვატიულ მინისტრებს და მათ მაგიერ დასავლეთის საქმეების მცოდნე ახალ-გაზდათ არ დავაყენებთ, მანამდის რაიმე რეფორმა მოუხერხებელია. მარა დედოფალი არ არის ამის თანახმა. მე მას ვურჩიე ეს, ის საშინლათ გაწყრა. მე მეშინიაა, მე მგონია ვერ დავიცავ ჩემ ტახტს. თქვენ განლობთ ამასთანავე შეეკითხოთ თქვენ მეგობრებს თუ რა დახმარებას აღმომიჩენთ ჩემდა სახსნელათ. მოუთმენლათ ველი თქვენ დახმარებას“. მეორე წერილი, რომელიც პირველის წინეთ უნდა იყოს დაწერილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთია: „მე თქვენ მოგანდეთ ერთი ოფიციალური ორგანოს დაარსება და მისი გაძღოლა. სამწუხაროთ, წინააღმდეგ ჩემი სურვილისა, ამავე წუთში უნდა გახვიდეთ სახელმწიფოდან და ეძიოთ საშუალება ჩემდა სახსნელათ, მე ღმათ მრწამს თქვენი ერთგულება და სიყვარული. გაუფრთხილდით თქვენ თავს. მე ვიმედოვნებ ახლო მომავალში ისევ შეჰძლებათ ჩემი დახმარება, სახელმწიფოს რიგიან საფუძველზე დაყენება და ყოველივეს გაწყეს-რიგება. აი, ეს არის ჩემი სურვილი“.

ბაზარი. ფუთი ჩვენებური სიმინდისა ლონდონში ღირს $70\frac{1}{4}$ კაპ. მარსელში ორ-გირვანქა ნახევარი თეთრი პარკი ღირს 3 მ. და 20 კაპ. ($8\frac{3}{4}$ ფრანკი), ხოლო ყვითელი 3 მ. და 29 კაპ. (9 ფრანკი).

ბ ა ქ ო.

I.

წერილები ბაქოდან და ბაქოს შესახებ! ნეტა ვისთვის რა საინტერესოა ბაქო და იქიდან მონაწერებიო, იტყვის მკითხველი, რადგან გაგონილი აქვს, რომ იქ ნავთის მეტი არა არის რა და მის სიავ-კარგეს ხომ ყოველი ჩვენგანი დღე მუდამ ხედავსო. ბევრი, ბევრი რამ არის საინტერესო და კიდევ უფრო საგულისხმო ბაქოში, მარა ჩვენ ბევრისათვის არც დრო გვაქვს და არც გაზეთის ვიწრო ფარგალი გვაძლევს ნებას, რომ ბაქოს ცხოვრებაზე ვრცლათ ვილაპარაკოთ. ჩვენ მხოლოთ გავუზიარებთ მკითხველებს ჩვენ დაკვირვებათა და შთაბეჭდილებებს, რაც აქა-იქ შეზავებულნი იქნებიან წიგნებიდან ამოღებული ცნობებით.

მარიამობისთვის პირველი რიცხვები იყო, როცა ბაქოსაკენ მოგზაურობა მომიხდა. ეს თვე კი სააგარაკო თვეებთაგანს ეკუთვნის, მარა მე ხომ ვერავინ შემნიშნავდა: სააგარაკოთ მიდის ბაქოშიო. პირიქით, თფილისში რომ გავიარე იქაური ნაცნობ-მეგობრები დაცინვის კილოთი მეუბნებოდენ: „ნამდვილ საზაფხულო ადგილზე კი მიდიხარ ამ პაპანაქება სიცხეშიო“, მარა წაუსვლელობა რაღა დროს იყო და გავწიე... გზებში ბუნების აღწერილობით აღარ შევაწუხებ მკითხველს. თფილისს იქით ბუნების სხვა და სხვაობა აღარ იტაცებს მგზავრის ყურადღებას. განსაკუთრებით განჯას იქით მარცხნივ გაიხედავთ ტრიალი, თვალუწვდენელი, შიშველი მინდვრებია, რომელნიც სადღაც შორს, ძალიან შორს ტიტველ-შიშველი მთა-გორებით თავდებიან; მარჯვნივ გაიხედავ იგივე სანახაობაა. ლიანდაგის აქეთა და იქეთა ნაპირებზე ზოგან მოჰკრავთ თვალს უდაბნოს ოაზისებურ თათრების საზამთრო სოფლებს, სადაც აქა-იქ მოჩანან ხეები, ტალახით შეგლესილი და მიწით დახურული ფიცრის სახლები და აქლემების, ამ „უდაბნოს გემების“ ქარავნები. წინააღმდეგ ბათუმის რკინის გზის სადგურებისა, ბაქოს ლიანდაგის სადგურების განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს 15—20 საჟენის სიმაღლეზე ამართული ხის კოშკები, სადაც სადგურის მცხოვრებლები თავს იფარვენ აუტანელი სიცხისა და კოღო-ბუზებისაგან. მეტათ გულს უღონებს ასეთი სანახაობა იმერეთის ბუნებას მიჩვეულს; ასე რომ თფილისიდან მოგზაურს თამამათ შეუძლია ვაგონიდან სულ ორჯერ გამოჰყოს თავი, რომ იქონიოს წარმოდგენა აქაურ არე-მარეზე. ყოველგან სულ ერთგვარობა, სულ ერთფეროობაა. უკანასკნელ სადგურ ბალაჯირიდან მარცხნივ გავიხედე თუ არა, ამ თვალ-უწვდენელ ტრიალ მინდორში დავინახე ხის მაღალი კოშკები, რომლებიც მე, უცხოს, ვეებერთელა ცეცხლ მოკიდებულ ტყეთ მომეჩვენა და დავეკითხე გვერდით მდგომ კონდუქტორს: „ეს რა დამართიათ ბაქოელებს, ამისთანა ტყე ჰქონიათ ამ უდაბნოში და იმისთვისაც ცეცხლი წაუკიდებიათ და წვავენთქო“. აი, ხომ ხედავ იმ მაღალ ხეების მსგავს კოშკებს, ისინი ბაქოელებისათვის ტყეზე გაცილებით უფრო დიდ სიმდიდრეს შეადგენს; ეს არის ბალახანის „ვიშკები“ და ის კომლიც იქაური ზავოდების კომლიაო, მიპასუხა მან. შევედით ბაქოში.

რას წარმოადგენს ბაქო? ის ძველის-ძველი ეგვიპტური ქალაქია, ამფითეატრივით გორაკებზე გაშენებული. არარატის ბაღათ წოდებული გორაკიდან რომ გადახედავთ, ქალაქი სამ მკაცრ, ერთი მეორისაგან განსხვავებულ, ნაწილებათ წარმოგიდგებათ. ერთი მათგანია გორაკებზე გაშენებული ძველი, დაბალ-დაბალი, აზიური სახლებით, მეტის მეტი ვიწრო, მოუკირწყლავი, მტვერიანი ქუჩებით. ქალაქის ამ ნაწილს შამახია ჰქვია და დასახლებულია თათრებით. შემდეგ იწყება ეგრეთ წოდებული „ბ ე ლ ი გ ო რ ო დ ი“, რომელიც შეადგენს საუკეთესო ნაწილს ქალაქისას. აქ სახლები მაღალ-მაღალია — 3—4 სართულიანი, ევროპიულ გემოზე აშენებული და, რასაკვირველია, ევროპიულ მორთულ-მოკაზმულობით გამშვენებული; ქუჩები ფართო და მოკირწყლული, ზედ მოსრიალე ცხენის რკინის გზით. ამ ნაწილში მოთავსებულია თითქმის ყოველგვარი ადმინისტრატიული დაწესებულებანი, სასწავლებლები, ქალაქის სამართველო, ეკლესიები, ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავები, რედაქცია (გაზეთი „კასპისა“), სტამბა, წიგნის მაღაზიები, თეატრი, საუკეთესო სავაჭრო მაღაზიები და, რაც ყველაფერზე უსაჭიროესია აქაურ მცხოვრებთათვის, სავაჭრო კანტორები და ბანკები. „თეთრი

ქალაქი“ თავდება კასპიის ზღვის ნაპირებით, სადაც აუარებელი ნავთ-სადგურები და საქონლის შესანახი საწყობებია. მთელი ზღვის ნაპირები აჭრელებულია დიდი და პატარა ხომალდების და ფილუკების ფერად-ფერადი იალქნებით, რაც შვენიერ სანახაობას წარმოადგენს დილას, მზის ამოსვლის და საღამოს მზის ჩასვლის დროს, როცა ისინი მიმოქრიან თვალ-უწვდენელ ზღვაზე. ქალაქის ამ ნაწილში ცხოვრობს მომეტებულათ სომხების და უცხოელთა ბურჟუაზია და საზოგადოთ შეძლე ნაწილი მცხოვრებლებისა.

სადგურიდან მარცხნივ აღმოსავლეთისაკენ იწყება მესამე ნაწილი, ეგრედ წოდებული „ჩ ო რ ნ ი გ ო რ ო დ ი“. როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს „შავი ქალაქი“ სულ მთლათ გაშენებულია ნავთის გადასამუშავებელი ზავოდებით, სახელოსნოებით, მუშების სახლებით დ იმათთვისვე დუქნებით, რომელნიც გარედან სულ ერთიანათ გაშავებულნი არიან ნავთის ზავოდების კვამლისაგან. გაშავებულია აქ ყოველიფერი: ადამიანი, სახლ-კარი, ცხოველი, საქონელი, ხილი და სხ. ქუჩები მეტის-მეტათ უსუფთაო და მოუკირწყლავია, თუმცა ,,კონკა‘‘ აქაც დადის. ეს ნაწილიც თეთრი ქალაქივით ზღვის პირით თავდება, სადაც მრავალი ნავთსადგურებია გაკეთებული. აქ ცხოვრობს საზოგადოთ მუშა ხალხი. ქალაქისავე ნაწილს შეადგენს ორი ვერსით დაშორებული კუნძული ბ ა ვ ლ ო ვ ი, რომელიც დასახლებულია მეზღვაურებით და ბაქოელებს სააგარაკო ადგილათ მიაჩნიათ, თუმცა ის იმდენათაა სააგარაკო ადგილი, რამდენათაც აფრიკის უდაბნოები.

ზღვის ნაპირა ქუჩა ,,ნ ა ბ ე რ ე ჟ ნ ა ი ა‘‘ ითვლება ყველაზე უფრო გაცხოველებულ ქუჩათ, რადგან აქ არის მოთავსებული ყოველგვარი სავაჭრო სახლები, ბანკები, ნავთსადგურის საწყობები და სხ. აქ იყრის თავს ყველა ხელზე მოსაქმე ბაქოელი; აქვე არის ბურჟუაზიის მაჯის ცემის მაჩვენებელი ადგილი—ბ ი რ ჟ ა. თუმცა ქალაქი შესამჩნევათ მატულობს და სახლები აუარებელი შენდება, მარა მათი ფასი, როგორც ყოველ სამრეწველო ბურჟუაზულ ქალაქში, აქაც დღითი დღე მატულობს. აქ რომ 15—20 მ. ოთახს იქირავებთ, ჩვენ პატრიარქალურ ქალაქ ქუთაისში იმას 7—8 მ. იშოვით. ასეთივე სიძვირეა სასმელ-საჭმელის, განსაკუთრებით პირველის. ძვირია, მაგალითათ სასმელები: ლიმონადი, ზელტერის წყალი და ლუდი და თვისებითაც მეტათ მდარეა. იქაური ზელტერის წყალი დ ლიმონადი ბევრით არაფრით განირჩევიან ერთმანეთისაგან. ბოთლ ორშაურიან ლიმონადში 1 ჭიქა გამოდის და 20 კ. ლუდში ორი ჭიქა და ისიც თუ სადმე ბუფეტში მოითხოვე 20 კაპიკიანში 30 კ. გადაგახდევინებენ.

რაც შეეხება ბუნებრივ წყალს - ამ მხრით ხომ ბაქოელები დიდათ არიან დასჯილნი. ზღვა არის და მლაშე, ჭებია და მლაშე. მდინარე წყალი კი ბაქოს არსაიდან ჩამოუდის. მტკვარი, რომელიც ბაქოს 100 ვერსზე ახლავს და რომლის მილებით გამოყვანა ახლახან გადუწყვეტიათ ბაქოელებს, ვერაფერი დიდი განძი იქნება მათთვის, რადგან იგი მდორე წყალია და თან ისეთ ქალაქებში გადის (როგორც თფილისი და გორია), რომელნიც მის ცოტაოდენ ბუნებურ სიკარგეს ბევრ ხელოვნურ სიავეს უმატებენ.

პირდაპირი შედეგი უწყლობისა, როგორც ვიცით, უმცენარეულობა არის. მთელ ქალაქს ისე დაივლით, რომ ერთ რიგიან ხეს ვერ ნახავთ. შეხვდებით აქა-იქ ორ ან სამ საჟნიან ეკლის ხეს, ხეხილისას კი ვერც ერთს. მთელ ამოდენა ქალაქში სულ სამი ბაღია, რომელთაც ბაქოელთა ენაზე თუ უწოდებთ ბაღის სახელს, თორემ იმერეთის გამწვანებულ ბუნების შვილს არ შეუძლია მას ეს სახელი აკუთნოს. საუკეთესო მიხაილოვის ბაღი, რომელიც სიგრძით ერთი ვერსტამდეა და სიგანით კი 10—15 საჟენი, კარგი სანახავია მხოლოთ ხელოვნური მოწყობა მოკაზმულობით. მთელი ბაღი ასფალტით არის მოფენილი და რაც გინდ წვიმა იქნეს, აქ ტალახის ნამცეცს ვერ ნახავთ. არის შიგ დაბალ-დაბალი ორ-სამნაირი ჩირგვის მსგავსი ხეები, რომლებსაც არავითარი ჩრდილი არ აქვთ. ამნაირათ, ბუნებისაგან მცენარეებით გულ-დაწყვეტილ ბაქოელებს ,,კუკლასავით‘‘ მოურთავსთ ეს ბაღი და ბუნებურ სილამაზეს მოკლებული ხელოვნურათ დაუშვენებიათ იგი. არის შიგ ჭის წყლის აუზი და ფანტანი, ორანჟერეია, კლუბი - ბუფეტებით, კიოსკები – სასმელებისა და როტონდა მუსიკისთვის, ხშირი საჯდომი სკამები და რაც ყველაფერზე უფრო ამშვენებს ამ ბაღს,—ეს ე ლ ე ქ ტ რ ო ნ ი ს გ ა ნ ა თ ე ბ ა. როგორც მითხრეს ამ ბაღის გაკეთება-გაშენება ბაქოელებს ერთ მილიონ მანეთამდე დაჯდომიათ.

სად ნახავთ ბაქოელს დღისით? ,,ნაბერეჟნაიაზე‘‘, სავაჭრო სახლებში, კანტორებში და ბანკებში მოფუსფუსეს, ბაღში კი მხოლოთ გზათ გავლილს თუ შეხვდებით. სად ნახავთ ბაქოელს ღამით? მიხაილოვის ბაღში. საღამოობით აქ თავს იყრის ყოველგვარი წოდების და კლასის წარმომადგენელი, ყოველ გვარ დაწესებულებათა მოხელენი, ბურჟუა-არისტოკრატები, წვრილმანი ვაჭრები და მუშები, ქალი და კაცი ყველა ეროვნებისა, გარდა თათრის ქალებისა. თუ თფილელ არისტოკრატიას, ბურჟუაზიას, საშუალო წოდებას და მუშა ხალხს ყველას თავთავისთვის აქვს მიჩნეული ბაღებ-რესტორანები, მაგ.,

ორთაჭალასა და ალექსანდროვის ბაღში ძალიან ძვირათ თუ ნახავთ მაღალ წოდებას მოსეირნე მოქეიფეს, — ბაქოში სამაგიეროთ ყველა თავს იყრის მიხაილოვის ბაღში. თუ ქუთაისის ბულვარი უსაქმურთა თავშესაფარია, — ბაქოელთათვის მიხაილოვის ბაღი მუშაობისგან დაქანცულთ ერთათ ერთი გასართობია. აქვე ნახულობენ კავალრები თავიანთ დროებით სატრფოებს და სატრფიალოთ მოყლენილი არსებანი გაფაციცებით ეძებენ კავალერთ...

ბაქოს გუბერნიაში, ძველი ნაშთები (მაგ., ციხესიმაგრეები, ეკლესიები, მონასტრები, გამოქვაბულები და სხვ.) ნაკლებათ მოიძებნება, თუმცა ეს მხარეც მრავალ გზით თავდასხმას ითმენდა სხვა-და სხვა ხალხებისაგან. ერთათ ერთი დიდი და უძველესი ნაშთი ბაქოში დაცულია. — ეს არის ძველი ქალაქის ციხე შემოვლებული $2^1/_2$ — 3 ვერსტის მანძილზე. სიმაღლე აქვს სამი და სისქე ერთ საჟენზე მეტი; აქვს სხვათა შორის ორი ვეებერთელა კარები, რასაც „შირვანის კარებს" ეძახიან და რომელიც რუსებს ბაქოს დაპყრობის შემდეგ ჩამოუღიათ, იქვე ეკლესია აუშენებიათ და ჯარი დგას. ამ ციხეში მთელი ერთი პატარა ქალაქია მოთავსებული და თათრებით არის დასახლებული. შიგვე არის ძველათ ნაქები და ახლა მინგრეულ მონგრეული შირვან-შახების არაბული სტილის სასახლე, რომლის ერთი ვეებერთელა ზალა, „დივან-ხანეთ" წოდებული, სასამართლოთ ყოფილა დანიშნული; შუა ზალაში ამოჭრილია მაღალი ხვრელი, სადაც ძველათ თურმე, დამნაშავეებს ჰრიდენ თავებს, და აქედან სადღაც უფსკრულში ჰყრიდენ აქვე არის ძველის-ძველი მეჩეთი, რომელიც ახლა არაფრით არ არის შესანიშნავი. ძველი წარწერა და მორთულობა არ დაუცავთ. ძველი ქალაქის ბოლოში ამართულია 20 საჟნიანი კოშკი კიზ-კალა, ანუ ქალიშვილის კოშკი, *) სადაც შუაში შედის ქვის ვიწრო კიბე. კიზ-კალაზე ახლა მაიაკია გამართული. შესანიშნავია აგრეთვე ზღვაში ნანგრევები, რომლებსაც ადგილობრივ „ბაილოვის ქვებს" ეძახიან, რაც ზოგიერთთა თქმულებით ნაშთია ძველი ქალაქის ბაილასი ანუ საბაილასი, სხვების თქმულებით კი აქ დიდი ქარვასლა უნდა ყოფილიყოს ძველათ. ყოველ შემთხვევაში ზღვაში ამ ნაშთის ყოფნა ამტკიცებს, რომ ზღვის ნაპირებს დაუწევია და ქალაქს ზღვაში ამოუყვია თავი. შუაგულ ქალაქშივეა ძეგლი თავადი ციციანოვისა, რომელიც 1806 წ სპარსელებმა მოჰკლეს.

არიძე.

*) თქმულებაა ვითომც ეს სახელი მისთვის ჰქვია ამ კოშკს, რომ აქ ძველათ თავს იფარავდა თათრის სანის ქალიშვილი, რომელიც ერიდებოდა მამისაგან გაუპატიურებას და რომელიც ბოლოს ზღვაში გადავარდა.

კრიტიკული შენიშვნები.

(„ცისკარა". მოამბე 9ა წ. II, III და IV *).

ჩვენი ახალგაზდა მწერლების უმეტესმა ნაწილმა უკვე შეიგნო ნამდვილი მწერლის დანიშნულება და მოვალეობა, ჩაუკვირდა აწმყო ცხოვრებას და შეძლებისა და გვარათ აუწყებს მკითხველს მას, რასაც ის ჩვენ ცხოვრებაში კითხულობს. საარხივოთ გამზადებულებს კი დავიწყებიათ, რომ ყოველი მოღვაწე, დროისა და გარემოების შესაფერი უნდა იყოს. აღარ ახსოვსთ რუსთველის სიტყვები: საცა არა სჯობს გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანო, ჯიუტათ დგანან ძველ გზაზე და უგალობენ ძველ ცხოვრებას. ტყუილა დაუწყებთ მათ ხვეწნას: ბატონებო, ვთქვათ, მთელი ჩვენი წარსული ოქრო იყო, მაგრამ ის წავიდა, გაქრა; ჩვენ აწმყოში ვცხოვრებთ და აწმყოს გათვალისწინება გვესაჭიროებაო, ყურსა ბამბისასა! ბ. ან. ფურცელაძეც იმ გვარ საარხივო მწერლებს ეკუთვნის, რომლებიც ნებით თუ უნებლიეთ აწმყოს აღარ არგიან. ნება მათია, რა გვენაღვლებოდა მაინცა და მაინც, წარსულში ეძიათ ნუგეში და აწმყოსათვის მომკვდარიყვენ, რომ ჩვენც ძალათი არ გვაჩეჩებდენ თავის გემოვნებას ისეთ უხეირო პოემებში, როგორც „ცისკარა". ისტორიულ პოემებს, თუნდა ძალიან ნიჭიერი მწერლის კალამსაც ეკუთვნოდეს, ჩვენის აზრით მკითხველისათვის ძალიან ცოტა სარგებლობა მოაქვსთ. ისტორიული პროცესის მიმდინარეობის გამორკვევა ისტორიკოსის საქმეა და არა პოეტის, რადგანაც ვერც ერთი პოეტი ამას ვერ შეასრულებს; შეიძლება პოეტს მიზნათა აქვს, წარსულიდან წამოგვიყენოს სხვა-და-სხვა გმირებში წასაბაძავი მაგალითი; მაგრამ ამ გვარ მიზანს რაიმე შესამჩნევი შედეგი არაოდეს არ მოჰყვება; მაგალითი უმეტესობისათვის მაგალითათვე დარჩება, მას ვერ წაბაძავს, რადგანაც ცხოვრება მუდამ ცვლილებაშია, პირობები იცვლებიან, ადამიანი კი ამ პირობების ნაყოფია. რის გაკეთებაც შეეძლო რომელიმე პეტრეს მეთვრამეტე საუკუნეში, იმას ველარ გააკეთებს მეოცეში, რადგანაც ან საჭირო აღარ იქნება, ან და შეცვლილი პირობები არ გააკეთებინებენ. უმეტესობისათვის ძველების მიბაძვა მხოლოთ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, ცხოვრება რომ უცვლელი იყოს და ჩვენც იმავე პირობებში ვცხოვრებდეთ, როგორც ჩვენი ძველები. ჩვენ არ ვიცით, რა მიზანი აწერინებდა ბ. ან. ფურცელაძეს „ცისკარას", ხოლო ეს პოება ვერც წასაბაძავ მაგალითებს აძლევს მკითხველს, შესაძლებელიც რომ იყოს წაბაძვა, და როგორც ხე-

*) იხ. „კვალი", № 41.

ლოენური ნაწარმოებიც, მეტად სუსტია. ავტორი ცდილობს, ფილოსოფოსიც დააკმაყოფილოს, ესტეტიკოსიც, მაგრამ ფილოსოფიაც ერთობ სუსტი გამოუდის, ბუნების აღწერაც: იმიტომ კი არა, რომ მას ფილოსოფიური განვითარება არ მიეღოს, ან ესტეტიკურ გრძნობას მოკლებული იყოს, არამედ იმიტომ რომ მთელი მისი გონება და მეცადინეობა უმთავრესათ რითმების შეწყობას დაუპყრია, დანარჩენი კი ხელიდან ეპარება. თითქმის ყოველ ფურცელზე ერთი და იმავე სიტყვებით ბრძოლის სურათების აღწერა სწორეთ მოთმინებას დაუკარგავს მკითხველს. ოთხ სტრიქონს ვერ წაიკითხავთ ისე, რომ გამეორება არ შეგხვდესთ. ჩვენი თავი მაინც და მაინც უგონოთ სწორეთ არ მიგვაჩნია, მაგრამ, სანამ მესამეთ არ წავიკითხეთ, შინაარსი ვერ გავიგეთ და დარწმუნებული ვართ, რომ თვით ავტორსაც არ ჰქონდა რიგიანათ გამორკვეული, რას წერდა. მაშ რითი უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მთელი მეორე კარი, რამოდენიმე თავის გამოკლებით, პირველი კარის იგივე გამეორება არის?!

მართალია პოეტებს მეტი გრამატიკული თავისუფლება აქვსთ მაგრამ ან. ფურცელაძე ამ licentia poetica-თი ერთობ უხვათ სარგებლობს ხოლმე და ამგვარი licentia, როგორც:

> რომ არ მთლათ მათი ძვალები
> გურჯისტანს ჩაუყრევგინა.

არა გვგონია, ნაშეტანი არ იყოს, ამისთანა ლექსები, როგორც:

> სისხლსა სვამს, სისხლში დაცურავს
> სისხლითვე ეზიარება.
>
> —
>
> ამეხსნა თვალი ვიცანი
> ძალა უძლევი ძალისა.
>
> —
>
> სიკვდილს სიკვდილით სჯაბნობენ
> სიკვდილთა ღმერთის სადიდრად და სხვ.

ჩქარა გამოსათქმელათ კარგია რომელსამე საყმაწვილო ჟურნალში, ლექსათ კი არ ვარგა. ათ სტრიქონს ვერ წაიკითხავთ, რომ ლექსი ბუნებრივი, ადვილი გასაგები იყოს; ზოგან კი აზრი იმდენათ ბუნდეა, რომ არა გვგონია, მკითხველმა გაიგოს რამე. მაგალითად:

> რას ვამბობ?—მას არ ჰკმარობენ,
> რომ კაცნი დარჩნენ მხეცათა:
> რა მხეცი უდრის ომს კაცსა?—
> მხედარნი გაკაცებულნი,—
> უნდა ვიტყოდეთ ამასა
> როს სისხლზე საქმე მიდგება.

როცა მწერალს პოეზია არ ეხერხება და მაინც არ ეშვება, იმდენათ მაინც უნდა შეიბრალოს მკითხველი, რომ სხოლიოში პროზით აუხსნას, ამგვარი ლექსით რისი თქმა უნდოდა.

პოემის უმთავრეს გმირებს შეადგენენ მზეჭაბუკ და ცისკარა. დავინახოთ რა არის მათში მკითხველისათვის სასარგებლო ან საყურადღებო. თვით ავტორი მხოლოთ გარეგნობით აქებს თავის გმირებს, მათ ღირსება ნაკლულევანების შესახებ კი თითქმის არაფერს არ გვეუბნება. ვიცით, რომ ცისკარა იყო „ვარდი გაშლილი, უზადო ვითა ალმასი, უტოლო, უცალო“,—ერთი სიტყვით ისეთი ლამაზი, რომ თვით მეფესაც კი ზედ რჩებოდა თვალები, მაგრამ დახეთ მის უბედურებას: ცოლი ჰყავდა! ერთი მაპატიეთ, მერე მკითხველს რა, ცისკარა რომ ლამაზი იყო? ნუ თუ ამოდენა პოემის წაკითხვით მკითხველმა იმის მეტი ვერაფერი უნდა გამოიტანოს, რომ ოდესღაც საქართველოში ერთი ლამაზი ქალი ცხოვრებდა, რომელმაც საქმროს მოკვლის გულისათვის ყეენს მთელი ჯარი გაუწყვიტა?! როცა ქალში მხოლოთ საამიყოთ გაჩენილ ქმნილებას ხედავდენ, მაშინ ამგვარ პოემებს კიდევ ექმნებოდა თავის გასამართლებელი საბუთი, დღეს კი ბ. ფურცელაძე ვერავის მოაწონებს თავის ცისკარას ცალიერი სილამაზით, თუმცა თვითონ მას ძალიან მოწონს, და სრული კმაყოფილი იქნებოდა, რომ ყველა ქართველი ქალი დღეს ცისკარასთანა იყოს. ცისკარაში ხომ არაფერი არ ჰყრია ცალიერი სილამაზის მეტი?!—მერე რა ვუყოთ? სილამაზის გარდა ქალს სხვა რათ რამე უნდა! -არა, ბატონებო, არისტოკრატიზმმა თავისი ზნეჩვეულებით და შეხედულებით დრო და ჟამი მოჭამა და, თუ მაინც და მაინც არ იშლით და წარსულს არ ეშვებით, ისე მაინც შეხედეთ ამ წარსულს, როგორც თანამედროვე ცხოვრება გეუბნებათ: როცა ძველ დედებს გვიხატავთ თვალწინ, მათი ღირსება დაგვანახეთ, ცალიერი სილამაზე კი თქვენთვის დაიტოვეთ; ჩვენთვის გარეგან ფორმას ნაკლები მნიშვნელობა აქვს; გვიჩვენეთ ყოველი არსის შინაარსი, დედა აზრი; ნუ თუ ჩვენ ძველ დედებში საუკეთესო ღირსება ლამაზი სახე იყო? ბ. აა. ფურცელაძე ყოველივე ძველებურის მადიდებელია და ამიტომ, ძველი არისტოკრატიული შეხედულების მიხედვით, ცალიერ სილამაზეს დაჯერდებოდა, მაგრამ უფიქრია, ვაითუ ზოგიერთმა მკითხველმა იუცხოვოსო, და ცისკარას გულმტკივნეულობასაც გვიჩვენებს. „სად უფრო მეტი ჭირი და გოდება“ იყო ომის დროს, ცისკარაც რაღაც მანქანების ძალით იქ დაიბადებოდა, დაჭრილებში დადიოდა და წყლულებს უხვევდა „სახითა მხიარულითა“. მზითვის კაბებს ხევდა და სახვევებს აკეთებდა; ძვირფასეულობას ჰყიდდა, პურს ყიდულობ-

და და დამშეულთ ურიგებდა, „სახლს შთენილ ვაჟკაცებს კი მხნე სიტყვითა და ქადილით ჰგზავნიდა საბრძოლველათა“.

თუ ცისკარა ქვეყნის მშვენება იყო სილამაზით, არც მზე ჭაბუკი იყო ნაკლები სახით, ტანადობით, ვაჟკაცობით... ისეთი მძლავრი მკლავი ჰქონდა, რომ

„ბევრჯერა ჰნახეს სანცვიფრო,
საზარო დასანახავი,
რომ განრისხებულს მის ხმალსა
ცხენი და კაცი ზედიზედ
რკინით და ჯაჭვით მოსილი
გაუკვეთია შუაზედ.

თვითონ მზეჭაბუკს კი არც ტყვია ეკარებოდა, არც მოწამლული ისარი, ვერც ხმალი ვერც ლახტი. რატომ? განა ისიც ადამიანი არ იყო?—იქნება რამე სასწაული იფარავდა! ძველი ცხოვრება იმ გვარ პირობებში იყო, რომ ადამიანს ძალა უნებურათ ხმალი უნდა აელო ხელში და სისხლი ეღვარა თავის თავის დაცვის გულისათვის, მაგრამ საკვირველიც ის არის, რომ ავტორს სისხლის ღვრა და ბრძოლა ეზიზღება, მზე-ჭაბუკი კი, რომელიც მხოლოთ სისხლის ღვრაშია კაი ბიჭი, საშინლათ მოწონს. პირველი კარის მერვე თავში მთელი ფილოსოფიაა იმის შესახებ, რომ სატანჯველის ცქერა პირუტყვებსაც კი ძულსთ.

კაცსა კი ტანჯვა კაცისა
აქვს ვით წყლულისა მალამო,

მთელი მისი ცხოვრება სისხლის ღვრას წარმოადგენს. ვეთანხმებით ავტორს, რომ ომი და სისხლის ღვრა დიდი სისაძაგლეა და კაცობრიობის შემარცხვენელი მოვლენა, მაგრამ მზე-ჭაბუკი რაღათ მოწონს, რაღათ აქებს და ადიდებს მას ასე უზომოთ? საქმე ჩვენის აზრით აი რაშია: როგორც თითქმის ყველა ამ საუკუნის ჩვენი ძველი მწერლები ან. ფურცელაძეც იმ გვარ გავლენას და საზოგადოებრივ ატმოსფერას ქვეშ აღიზარდა, რომ მამულის წარსული შეიყვარა, აწმყო კი შეიძულა: წარსული ქართველობა მას ახლანდელზე გაცილებით უფრო მოწონს, მაგრამ მათი უმთავრესი ხელობა ხომ სისხლის ღვრა იყო? ახალი დროის ზოგიერთ მწერლებმა კი დაარწმუნეს ბ. ფურცელაძე, რომ სისხლის ღვრა საზიზღარი მოვლენაა. ბ. ფურცელაძე გასაჭირ მდგომარეობაში ჩავარდა: ახალი მწერლების აზრიც ჯერა, ძველი გმირებიც მოწონს, მაგრამ გულს არ იტეხს; არც ძველ გმოვნებას ეშვება, ახალ აზრსაც ეპოტნება; როგორც არისტოკრატიის გავლენის ქვეშ აღზრდილ ქართველს, სისხლ-ს მღვრელები მოწონს,—როგორც საამჟროოთ განვითარებულ პირს, სისხლის ღვრა ძულს! იქნება ავტორი ვერაფერს ხედავდეს აქ ერთიმეორის საწინააღმდეგოს, ჩვენ კი გვგონია, რომ ერთსა და იმავე დროს ადამიანს რომ ბოროტება ძულდეს და ბოროტ მოქმედი უყვარდეს, თუ სხვა მისი ღირსება არ იცის, შეუძლებელია. უნაკლულო ადამიანი ქვეყნათ არ დაიბადება.—იქნება მზეჭაბუკი სხვეფ იყო კარგი და ავტორსაც მიტომ მოწონსო, იტყვის მკითხველი საქმეც იმაში გახლავსთ, რომ მზე ჭაბუკის ერთად ერთი ღირსება სილამაზე და საგანგებოთ სისხლის ღვრა არის—მეტი არაფერი.

მიუხედავათ იმისა, რომ მზე ჭაბუკი ომში დაიბადა და ომში აღიზარდა, მეორე კარის მეორე თავი გვატყობიებს, რომ მზე ჭაბუკიცა და ცისკარაც თურმე ტოლსტოის მიმდევარი იყვენ და უთუოთ ორიგინალურმა ფილოსოფოსმა და გამოჩენილმა რომანისტმა ამ ორი გმირის ამბავი იცოდა, როცა „კრეიცერის სონატას“ წერდა.

ავტორი გვარწმუნებს:

არც ცისკარას და არც მისსა
თავშეწირულსა მზე ჭაბუკს
ერთმანერთზედა ბიწი რამ
ხორციელების რამე გულს
არ გაუვლიათ. ფიქრიც კი
მიაჩნდათ მზაკვარებათ.

მათ თურმე მისთვის შეიყვარეს და შეირთეს ერთმანეთი, რომ და-ძმურათ ეცხოვრათ. შემდეგში თვით ტოლსტოიმაც უარჰყო თავისი აზრი ცოლქმრობის შესახებ, რომელიც მან „კრეიცერის სონატაში“ გამოთქვა, რადგანაც დარწმუნდა, რომ ის ადამიანის ბუნების სრული წინააღმდეგი იყო. რასაკვირველია, ყოველი მკითხველისათვის ცხადია, რომ მზეჭაბუკიცა და ცისკარაც ისეთივე ცოლ-ქმარი უნდა ყოფილიყვენ, როგორც ყველა დანარჩენი და ჩვენი ძველი ცხოვრება, რომელმაც ქალს თითქმის დედლის ხვედრი არგუნა, მამაკაცს ის უმთავრესათ სააშიყო არსებათ დაუსახა და მასში ყველაზე მაღლა სილამაზე დააფასებია, ტოლსტოის აზრის მიმდევრებს ვერ წარმოშობდა.

რაც ითქვა, ისიც საკმარისია იმის გამოსარკვევათ თუ რა ღირსების არის ეს პოემა. იმისი წაკითხვით მხოლოთ მას გაიგებთ, რომ ქვეყნათ არსებობს საშინელი შურის ძიება, არიან ლამაზი ქალები, ღონიერი კაცები.—განა ღირს წასაკითხათ მარტო ამისათვისო? იკითხავ, მკითხველო.—არ ღირს და, თუ არ წაგიკითხავს, ნურც წაიკითხავ, თორემ, სხვა რომ არა იყოს რა, გული გაგიტყდება ჩვენ აწმყო ლიტერატურაზე.

ივ. გომართელი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 17 Октября 1898 г. Тип. М. Д. Ротиніанца—სტამბ. მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д.. № 41.